საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - ია გაბედავა

კოლეგიის წევრი - არჩილ ჩოფიკაშვილი

კოლეგიის წევრი - ბესარიონ ბოხაშვილი

საჩივრის ავტორი: ქ. ნ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.08.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 116/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ბ.-ს /სიითი N /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ბ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 16 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ქ. ნ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის განცხადებით, 2017 წელს მან მიმართა ადვოკატ ა. ბ.-ს საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არ გაუწია კვალიფიციური მომსახურება სააპელაციო სასამართლოში, მათ შორის ქ. ნ.-ს არ მისცა შესაძლებლობა დასწრებოდა სასამართლო სხდომებს. საჩივრის ავტორს ადვოკატი დაპირდა, რომ გაასაჩივრებდა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებას.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2018 წლის აგვისტოს თვიდან ადვოკატი ა. ბ. არ პასუხობს მის სატელეფონო ზარებს, აგრეთვე, არ უბრუნებს სამქის მასალებს, რაც მის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ა. ბ.-მ ეთიკის კომისიაში 2018 წლის 05 დეკემბერს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, 2017 წლის ოქტომბრის თვეში მის საადვოკატო ოფისს იურიდიული დახმარების მიღების მიზნით, მიმართა ქ. ნ.-მ.

2.2 ადვოკატი ა. ბ. არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პოზიციას, იმის თაობაზე, რომ მას არაფერი გაუკეთებია საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატის განმარტებით, მან ანაზღაურების გარეშე გაუწია საადვოკატო მომსახურება ქ. ნ.-ს.

2.3 ადვოკატის განცხადებით, ქ. ნ.-მ განუცხადა, რომ მას სააპელაციო სასამართლოში შეტანილი ჰქონდა ადმინისტრაციული საჩივარი და მცხეთის რაიონულ სასამართლოში საქმისწარმოებისას, ადვოკატმა არ გაუწია კვალიფიციური მომსახურება და სურდა ახალი ადვოკატისთვის მიემართა.

2.4 ადვოკატმა ა. ბ.-მ ქ. ნ.-ს ჰკითხა, თუ ჰქონდა საქმის მასალები, მათ შორის სააპელაციო საჩივარი, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რაზეც მან უპასუხა, რომ არ ჰქონდა. ადვოკატის განცხადებით, მან გამოხატა სურვილი დახმარებოდა ხანდაზმულ ქალბატონს და მისთვის გაეწია საადვოკატო მომსახურება, ამასთან, აღმოჩნდა, რომ მათ საერთო ახლობლები აღმოაჩინეს.

2.5 2017 წლის 06 ოქტომბერს ქ. ნ.-მ ადვოკატ ა. ბ.-ს სახელზე გააფორმა მინდობილობა და ამავე დღეს ჩანიშნული იყო სააპელაციო სასამართლოში სასამართლო სხდომა. ადვოკატმა ა. ბ.-მ მიმართა სასამართლოს განცხადებით სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე საქმის მასალების გაცნობის მიზნით. სასამართლომ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ქ. ნ.-ის საქმის თაობაზე, სააპელაციო სასამართლოში სხდომა მხოლოდ ერთხელ გაიმართა, რა დროსაც ადვოკატმა ა. ბ.-მ წარმოადგინა პოზიცია და დასკვნითი სიტყვა ქ. ნ.-ის ინტერესების წარმოდგენის მიზნით, რის შემდგომაც, პროცესი გადაიდო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადების მიზნით. სააპელაციო სასამართლომ გამოაცხადა სარეზოლუციო ნაწილი, რომლის მიხედვითაც, არ დაკმაყოფილდა ქ. ნ.-ის საჩივარი. ადვოკატის განცხადებით, ქ. ნ. ესწრებოდა სასამართლო სხდომებს.

2.7 ადვოკატის განმარტებით, ის ქ. ნ.-ის საქმეში ჩაერთო იმ ეტაპზე, როდესაც უკვე წარდგენილი იყო სააპელაციო საჩივარი სასამართლოში, ამ პერიოდში ქ. ნ.-ის მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, რაც შესაძლოა სასამართლოში მის წინააღმდეგ საქმის დასრულების საფუძველიც გახდა.

2.8 ადვოკატის განმარტებით, ქ. ნ.-ს ჰქონდა შესაძლებლობა სააპელაციო სასამართლოში საქმის დასრულების შედგომ შეხვედროდა მას საადვოკატო ოფისში, რომლის მახლობლადაც მუშაობდა საჩივრის ავტორი. ადვოკატმა ა. ბ.-მ საჩივრის ავტორს უთხრა, რომ ჩააბარებდა განჩინებას და დაეხმარებოდა საკასაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრებაში.

2.9 ადვოკატის განცხადებით, სააპელაციო სასამართლოში საქმის დასრულების შემდგომ, ქ. ნ. მივიდა მის საადვოკატო ოფისში, სადაც სხვა ადვოკატებიც იმყოფებოდნენ და ერთ-ერთ-ერთმა ადვოკატმა - ე. ბ.-მ ქ. ნ.-ს შეუდგინა საკასაციო საჩივარი, რომელიც უზენაესმა სასამართლომ მიიღო წარმოებაში. ადვოკატი და საჩივრის ავტორი არ შეთანხმებულან საადვოკატო მომსახურება ა. ბ.-ს სამივე ინსტანციაში განეხორციელებინა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ა. ბ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი№ / სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან".

3.2 საჩივრის ავტორმა ქ. ნ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 16 აგვისტოს.

3.1 სადაო ქმედება განხორციელდა 2017 წელს. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ა. ბ.-მ შეთანხმების მიუხედავად, არ გაუწია საჩივრის ავტორს კვალიფიციური მომსახურება სააპელაციო სასამართლოში საქმისწარმოების დროს, მათ შორის, არ შეადგინა საკასაციო საჩივარი, არ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს და არ დაუბრუნა გადაცემული საქმის მასალები.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ა. ბ.-ს მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად ... უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა *".*

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ".

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის („აპეკ“) 8.15 მუხლი: „ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი...რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში...“

5.3 ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურება კლიენტს გაუწიოს კვალიფიციურად, კერძოდ, განახორციელოს იურიდიული მოქმედებები შეთანხმების ფარგლებში კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. კვალიფიციურად წარმომადგენლობის განხორციელებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმისწარმოებისას, კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე დროულად და ჯეროვნად და არ შეუზღუდოს მასთან კომუნიკაციის შესაძლებლობა.

5.4 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, ადვოკატისთვის გადაცემული საქმის მასალები, აგრეთვე, საქმის თაობაზე ადვოკატის მიერ მოპოვებული ან მის მიერ შექმნილი დოკუმენტაცია წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია, კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობის დასრულებისთანავე, შეფერხების გარეშე დაუბრუნოს კლიენტს საქმის მასალები. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია დროულად უზრუნველყოს კლიენტისათვის მასზე მინდობილი დოკუმენტაციის გადაცემა.

5.5 განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციებიდან ირკვევა, საჩივრის ავტორმა 2017 წლის ოქტომბრის თვეში მიმართა ადვოკატ ა. ბ.-ს საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით. კერძოდ, ადვოკატს ქ. ნ.-ის ინტერესები უნდა წარმოედგინა სააპელაციო სასამართლოში, რა ეტაპზეც ქ. ნ.-ს უკვე წარდგენილი ჰქონდა ადმინისტრაციული საჩივარი. საჩივრის ავტორი თავის პრეტენზიაში უთითებს, რომ ადვოკატ ა. ბ.-ს მის საქმესთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოში არაფერი გაუკეთებია, ამასთან, ადვოკატი უზღუდავდა სასამართლო სხდომებზე დასწრებას და შეთანხმების მიუხედავად, საკასაციო სასამართლოში არ წარადგინა საკასაციო საჩივარი და ადვოკატმა არ დაუბრუნა მისთვის გადაცემული საქმის მასალები. აღნიშნულ პრეტენზიებს არ იზიარებს ადვოკატი და განმარტავს, რომ ის საჩივრის ავტორთან არ შეთანხმებულა იმის თოაბაზე, რომ ის წარმოადგენდა მის ინტერესებს საკასაციო სასამართლოში, თუმცა განუმარტა ქ. ნ.-ს, რომ უზრუნველყოფდა მისთვის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების ჩაბარებას და საკასაციო საჩივრის შედეგენას. ადვოკატის მტკიცებით, მისმა კოლეგამ ე. ბ.-მ შეადგინა საკასაციო საჩივარი და გადასცა ქ. ნ.-ს, რის საფუძველზეც უზენაესმა სასამართლომ საჩივარი მიიღო წარმოებაში.

5.6 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ა. ბ. ქ. ნ.-ის საქმეში ჩაერთო სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე, რის შემდგომაც, მას უწევდა საადვოკატო მომსახურებას, მათ შორის სასამართლო სხდომებზე წარმოადგენდა მის ინტერესებს. მოცემულ შემთხვევაში, ნათლად არ იკვეთება ადვოკატის მიმართ წარმოდგენილი პრეტენზიები, კერძოდ, რა უნდა გაეკეთებინა მას საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებით და რა არ გააკეთა, ამასთან, არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, რაც საკმარისი იქნებოდა დასაბუთებული ვარაუდის არსებობისთვის, რომ ადვოკატმა არაკვალიფიციურად განახორციელა საადვოკატო მომსახურება.

5.7 საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, საქმის მასალების ადვოკატისთვის გადაცემის თაობაზე, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ა. ბ.-მ ეთიკის კომისიაში ახსნა-განმარტებას თან დაურთო ქ. ნ.-ის საქმის მასალები, მათ შორის ქ. ნ.-ის საქმესთან დაკავშირებით, 2017 წლის სააპელაციო სასამართლოს განჩინებები - (ს.ფ. 55-76). ადვოკატის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული საქმის მასალები 2018 წლის 12 დეკემბერს ეთიკის კომისიის მიერ გაეგზავნა საჩივრის ავტორს, რის თაობაზეც მას დამატებითი ახსნა-განმარტება კომისიითვის არ მოუწოდებია (მიწერილობა - ს.ფ.79).

5.8 მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს საკმარისი ვარაუდი კლიენტისათვის მისი დოკუმენტების დაუბრუნებლობის ფაქტის დასასაბუთებლად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორისათვის გადაცემის მიზნით, ეთიკის კომისიას წარმოუდგინა საქმის მასალები.

5.9 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე–4 მუხლის მე–6 პუნქტით, მე–19 მუხლით, 27–ე მუხლით, 28–ე მუხლით, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №116/18 ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ, /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/